ცნობა თოფურიას ბიბლიო ფონდი

ფონდი 287 1 177

ფონდი 287 1 177

ПАВЛОВСКОЕ ПЕТЕРБУРГСКОГО ХРАМА

დასკანირებულია 16.01.2025 (13)

მეთოდური წერილების კრებული

ამას წინათ გამოვიდა IV კრებული მეთოდური წერილების სერიისა—„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში".

კრებულში დაბეჭდილია 5 მეთოდური წერილი, რომელთაგან ერთი ეხება ენის სწავლების საკითხებს დაწყებით სკოლაში, ოთხი კი—ლიტერატურის სწავლების ცალკეულ საკითხებს საშუალო სკოლაში.

წერილში „ფონეტიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის სწავლება დაწყებით სკოლაში" ვ. რამიშვილი განიხილავს ფონეტიკის სწავლების მნიშვნელობას და ადგილს დაწყებით სკოლაში, მისი სწავლების ნაკლოვანებებს და გვაცნობს ფონეტიკის სწავლების შინაარსსა და ხერხებს. წერილში მოცემულია სასარგებლო მეთოდური მითითებანი ბგერის, ასოს, ხმოვნის, თანხმოვნის და მარცვლის სწავლების შესახებ. იქვე მოყვანილია ამ მხრით ჩასატარებელი საკვარჯიშოების ნიმუშები.

წერილის მეორე ნაწილში, სადაც მორფოლოგიის სწავლების შესახებაა საუბარი, განხილულია მორფოლოგის ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლა III და IV კლასების პროგრამითაა გათვალისწინებული, და ცალ-ცალკეა გარჩეული „ვინ" და „რა" ჯგუფის სახელების, ზმნის, სიტყვის შედგენილობის, სახელთა ბრუნების, ზმნის უღლების სწავლების მეთოდიკური ხარვეზები.

გრ. ბარამიძის წერილში „ლიტერატურული კითხვა და ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსი" მკვეთრადაა გამოკვეთილი ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებენ ლიტერატურის სწავლებას საშუალო სკოლის უფროს კლასებში. V-VIII კლასებში მხატვრულ ნაწარმოებთა შესწავლა ლიტერატურული კითხვის პრინციპების შესაბამისად წარმოებს. ეს იმას გულისხმობს, რომ ამ კლასებში არ ისწავლება მწერლის მთლიანი შემოქმედება, ლიტერატურის ისტორია. ამ კლასებში მოსწავლეები ემზადებიან ლიტერატურის ისტორიის კურსის შესწავლისათვის, რაც IX კლასიდან იწყება. ამიტომ ბუნებრივია, რომ V-VIII კლასების ქართული ლიტერატურის მასწავლებლის მუშაობის მეთოდები უნდა განსხვავდებოდეს IX-XI კლასების მასწავლებელთა მუშაობის მეთოდებისაგან.

ლიტერატურის გაკვეთილზე მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს ეხება დ. ჯავახიშვილის წერილი, რომელშიც თბილისის რამდენიმე სკოლის მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებენ მოწინავე მასწავლებლები ლიტერატურულ მასალებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. ავტორს მოჰყავს საინტერესო მაგალითები, თუ რა შედეგი შეუძლია მოგვცეს მასწავლებლის მოფიქრებულ, გეგმაშეწონილ მუშაობას, როცა მხატვრული ნაწარმოებები ამ მიზნისათვის ოსტატურად იქნება გამოყენებული.

საშუალო სკოლაში ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლების საკითხები ვრცლად აქვს განხილული ავ. თოფურიას წერილში „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა". ავტორი გვაძლევს წერილში აღძრული საკითხის გაშუქებას სასკოლო კურსთან შეფარდებით და მხატვრული ნაწარმოებების „ტარიელ გოლუას" და „გვადი ბოგუას" ანალიზის საფუძველზე ნათელყოფს ლეო ქიაჩელის შემოქმედების მნიშვნელობას მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

კრებულში დაბეჭდილია ქ. ფოთის 1-ლი ქალთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პ. ნაცვლიშვილის წერილი „სახე-პერსონაჟზე მუშაობა IX-XI კლასებში". წერილის ავტორი განიხილავს სახე-პერსონაჟებზე მუშაობის სხვადასხვა საზღვრებს და გვაცნობს ამ მხრივ თავისი მუშაობის გამოცდილებას. წერილში კონკრეტული მასალით ნაჩვენებია, თუ რა ხერხებსა და საშუალებებს მიმართავს მასწავლებელი სკოლაში სახე-პერსონაჟებზე მუშაობის დროს.

კრებულში დაბეჭდილი მასალები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ერთგვარ დახმარებას გაუწევს ამ საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ კრებულს აქვს ზოგი ნაკლიც. მასში არაპროპორციულადაა წარმოდგენილი მეთოდური წერილები ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ (ენის სწავლებას ეხება მარტო ერთი წერილი, ლიტერატურისას—ოთხი). კრებულში დაბეჭდილია მარტო ერთი მასწავლებლის წერილი. უკეთესი იქნებოდა, თუ მეტი ადგილი დათმობოდა მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებას. ამის საშუალება კი არსებობს.

მორიგ კრებულებში ფართო ადგილი უნდა დათმოს ქართული ენის სწავლების საკითხებს ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე. ამ მხრივ საჭიროა დაიბეჭდოს წერილები, თუ როგორ გარდაიქმნა სკოლებში ქართული ენის სწავლება ბელადის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების შემდეგ, რა მუშაობა ტარდება სკოლებში ამ მიმართულებით, როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი), რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა საჭირო და სხვ.

ამ საკითხების გათვალისწინება, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის იმ დახმარებას, რასაც აღნიშნული კრებული უწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

შ. გერიშვილი

ჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ი. ბ. სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". კონსულტანტმა ამხ. თ. აბაშიძემ უკვე ჩაატარა საუბარი, თუ როგორ მოაწყონ მუშაობა.

ნ. ჯინჯიბაძე

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის საჩხერის რაიკომის თავმჯდომარე

მასწავლებელთა ღირსების საქმე

იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად დაუღალავად მუშაობენ ჩხოროწყუს რაიონის მასწავლებლები. მათ უმრავლესობას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მთელი რიგი შრომები, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია და ბელადების ბიოგრაფიები.

მასწავლებელი კ. ხუნტუა (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), რომელსაც ბოლშევიკური პარტიის ისტორია პირველწყაროებით აქვს შესწავლილი, სისტემატურად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, „პრავდას", ჟურნალებს „ბოლშევიკს", „ვოპროსი ისტორიი" და სხვ.

თეორიულად კარგად არიან მომზადებული აგრეთვე მასწავლებლები მ. კვირკველია (ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), ნ. მასხარაშვილი (მუხურის საშუალო სკოლა), ლ. ვეკუა (ოჩხამურის რვაწლიანი სკოლა), გ. შენგელია (ჭოლის საშუალო სკოლა) და სხვ.

რაიონის მოწინავე მასწავლებლები გამოყოფილი არიან პროპაგანდისტებად და შტატგარეშე ლექტორებად.

ამ დღეებში მოეწყო მასწავლებელთა რაიონული შეკრება, სადაც ფართოდ იქნა განხილული პარტიული განათლების საქმეში პედაგოგთა მონაწილეობის საკითხი.

ი. ნაჭყებია

საკუთარი კორესპონდენტი

მცირე შენიშვნები დიდი საკ

★

კონსტანტინე გამსახურდია

★

ჩვენი დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის გენიალური შრომები ენათმეცნიერების შესახებ, ახალ ეტაპს ქმნიან ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში. ეს შეეხება არა მარტო მხატვრულს, არამედ პედაგოგიურ ლიტერატურასაც. ხსენებულ შრომებში მკაფიოდაა გამოთქმული უარყოფითი დამოკიდებულება როგორც ჟარგონის, ისე კუთხური კილოკავების მიმართ.

ქართულ ენას, მრავალი საუკუნის მანძილზე მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის შემქმნელს, ბუნებრივად დადგენილი აქვს სათანადო ნორმები მეტყველებისა.

ამიტომაც არავის არ უნდა დავანებოთ მათი თვითნებური მოხმარება, მათგან გადახვევა, ან ჟარგონული და პროვინციული მეტყველების უხეშად შემოშვება დედა-ქართულში.

ეს ნათელია იმ მითითებებიდანაც, [illegible] გრამატიკის ელემენტარული კანონებიც კი არაა დაცული, ხოლო ლექსიკა ჟარგონითა და პროვინციული გამოთქმებითაა აჭრელებული.

როცა უსაკო ყმაწვილს თვალში მოხვდება რომელიმე უმართებულო ფორმა სიტყვის მოქცევისა, რაკი იგი კრიტიკული ათვისების უნარს მოკლებულია, მაშინალურად ითვისებს უკანონოდ ნახმარ ზმნას, რომელიმე უხეშ ბარბარიზმს, ან პროვინციულ ჟარგონს, რომლის შემოღება არც არის ლიტერატურული ენისათვის საჭირო.

ყოველმა პედაგოგმა იცის, თუ რა ძნელად აღმოსაფხვრელია ადამიანის ცნობიერებიდან ჯერ კიდევ სიყრმეში შეთვისებული ენობრივი ლაფსუსი. ჩვენ ხშირად ვხვდებით [illegible] ისეთ ინტელიგენტებსაც, [illegible] თვით